ელეტრონული სასწავლო რესურსის თემა - ინგლისური ტრადიციული ზღაპარი – ''Jack and the Beanstalk'' („ჯეკი და ლობიოს ღერო“)

რესურსის ავტორი : ქუთაისის შ.პ.ს N 1 სკოლის ინგლისური ენის პედაგოგი - თათია მარდალეიშვილი

მოსწავლეთა ასაკი: 8-9 წელი

მოსწავლეთა რაოდენობა: 6

მიზანი: ეროვნული გეგმის მიხედვით

ე.ს.გ. სტანდარტი : - დაწყებითი საფეხური - III დონე (დIII)

უცხოური ენა

მიმართულება: ლაპარაკი

უცხ.დ.III.11. მოსწავლეს შეუძლია მარტივ ინტერაქციაში მონაწილეობა.
მიმართულება : სწავლის სწავლა

უცხ.დ.III.16. მოსწავლეს შეუძლია არსებული რესურსების გამოყენება და ახლის შექმნა.

რესურსის შექმნის მიზანი

ამ კონკრეტული ელექტრონული რესურსის შექმნა-გამოყენება შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობა; მოსწავლისათვის რთული და მოსაწყენია ტრადიციული გზით ახალი მასალის ახსნა და განმტკიცება, ამიტომ მსურდა რომ მასალა, უფრო საინტერესო ეფექტიანი, ვიზუალური, ადვილად აღსაქმელი და ინტერაქტიული გზით მიმეტანა კლასში. მსურდა ელექტრონულ რესურსს სწავლების პროცესი შეევსო და ჯგუფს სასწავლო მასალის აღქმასა და ფოკუსირებაში დახმარებოდა. ტექნოლოგიამ საშუალება მომცა სხვადასხვა მოდალობით მოსწავლეებისათვის საჭირო სტიმულების ჩადება მომეხერხებინა ელექტრონულ რესურსში. ტექნოლოგიის გამოყენებით საშუალება მომეცა ამ სასწავლო ელექტრონული რესურსით წარმატებით მიმეღწია კონკრეტული სასწავლო მიზნისათვის. მსურდა მასალის შესწავლა ყოფილიყო სახალისო და ინტერაქტიული, მოსწავლეებს ამაღლებოდათ მოტივაცია შესასწავლი საკითხის მიმართ და მაქსიმალურად ყოფილიყვნენ ჩართულები რესურსის გამოყენებისას.

ჩემს მიერ შექმნილი ელექტრონული სასწავლო რესურსი ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფის თავისებურებებს, არის ინგლისური ტრადიციული ზღაპრის **Jack and the Beanstalk** ის მიხედვით შექმნილი, თითოეული დავალების ბოლოს მოსწავლე ღებულობს უკუკავშირს. ამით მას საშუალება ეძლევა დამოუკიდებლად გაანალიზოს რომელი პასუხი ჰქონდა სწორი და რომელი არა. ელექტრონული რესურსი შექმნილი არის quizizz.com – ში.

ჩემს მიერ შექმნილი ელექტრონული სასწავლო რესურსი შესაძლოა გამოყენებულ იქმნეს როგორც ინგლისური ტრადიციული ზღაპრის შესწავლისას, ასევე, სხვადასხვა გრამატიკული დროების The Present Continuous Tense/ The Past Simple Tense წინადადებების პრაქტიკული გამოყენებისას, რადგანაც ელექტრონულ რესურსში შემავალ კითხვებს თან ახლავთ ილუსტრაციები. მოსწავლეებს შეუძლიათ სურათები აღწერონ როგორც ახლანდელ განგრძობით დროში, ასევე სურათების მიხედვით შექმნან მთელი ამბავი და გამოიყენონ წარსული მარტივი დრო(შესაბამისად განმტკიცება წესიერი და არაწესიერი ზმნების და წარსული მარტივი დროის კონსტრუქციების) მოგეხსენებათ, რომ მოსწავლეები სახალისო აქტივობების საფუძველზე ავტომატურად იმახსოვრებენ და იყენებენ მარტივ და ხშირად ხმარებულ გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ფორმებს. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, რესურსი არის მრავალფუნქციური და მრავალჯერადი. რესურსი საშუალებას იძლევა გამოვიყენოთ საკლასო მუშაობის ნებისმიერი ფორმა , ინდივიდუალური , წყვილური , ჯგუფური .

მიღწეული შედეგები:

ელექტრონულმა რესურსმა დადებითი გავლენა მოსწავლეების სწავლის პროცესზე: გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა , საკითხის სწავლება არ იყო ერთფეროვანი და მოსაწყენი. მოსწავლეებს გაუადვილდათ მასალის – ინგლისური ტრადიციული ზღაპრის გააზრება. ამ ელექტრონული რესურსის სასწავლო პროცესში გამოყენებით მოსწავლეებმა შეიმეცნეს და შეისწავლეს ეს თემა ხალისით, აუმაღლდათ მოტივაცია საკითხის

მიმართ, რადგანაც ამ ელექტრონული რესურსი გამოიყენეს ჯგუფებში, მაღალი იყო მოტივაცია რომ მათ ჯგუფს დაეგროვებინათ ყველაზე მეტი სწორი პასუხი და შესაბამისად მონაცემთა დაფაზე – მოხვედრილიყვნენ პირველ ადგილას. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ სასწავლო მასალის აღქმაში ჩართულია სხვადასხვა არხები - ვიზუალური და კინესთეტიკური, ამიტომაც დაკმაყოფილებული იქნა განსხვავებული სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების მოთხოვნილებებიდა. ამ ყველა ფაქტორმა ერთად ხელი შეუწყვეს მოსწავლეთა ჩართულობას.

ელექტრონული სასწავლო რესურსის გამოყენების ინსტრუქცია

ელექტრონული სასწავლო რესურსის **Jack and the Beanstalk** მოიცავს ორ დავალებას. პირველი დავალება შედგება 16 კითხვისაგან, რომლებსაც თან ახლავთ 4 სავარაუდო პასუხი და წარმოადგენს შესწავლილი ტრადიციული მოთხრობის შინაარსობრივი მხარის დემონსტრირებას. ამ დავალების საშუალებით მასწავლებელი გებულობს რამდენად კარგად გაიგეს მოსწავლეებმა წაკითხული მოთხრობის შინაარსობრივი მხარე. თითოეული კითხვისათვის პასუხის გაცემის დრო არის შეზღუდული და წარმოადგენს 30 წამს.

ელექტრონული სასწავლო რესურსის პირველი დავალება ეხება ზღაპრის შინაარსობრივ მხარეს, **მეორე დავალება** წარმოადგენს გრამატიკულ სავარჯიშოს ნასწავლი გრამატიკული დროის წარსული მარტივი დროის - (The

Past Simple Tense) სწორი ფორმების შერჩევას. დავალება შედგება 10 შეკითხვისაგან და თითოეულ კითხვას თან ახლავს 2 სავარაუდო პასუხი. ჩნდება მარტივი შინაარსის წინადადებები ზღაპრის მიხედვით , მაგალითად Jack --------- on a small farm with his mother. და სავარაუდო პასუხებია lived/live – მოსწავლემ უნდა შეარჩიოს სწორი გრამატიკული ფორმა და მონიშნოს სწორი პასუხი.

ცალკეული დავალებების ლინკები კი შემდეგია -

I დავალება - https://quizizz.com/admin/quiz/5b218bacce56c7001989e531

II დავალება - https://quizizz.com/admin/quiz/5b2276208295470019aec547

ლინკზე გადასვლის შემდეგ კი ჩნდება ელექტრონული მისამართი თუ რაც უნდა აკრიფონ მოსწავლეებმა იმ შემთხვევაში თუ შევლენ სხვა კომპიუტერიდან ან მობილური ტელეფონებიდან – join.quizizz.com ქვემოთ კი თამაშში შესასვლელი კოდი. მას შემდეგ რრაც მოსწავლეები შევლენ ამ ელექტრონულ რესურსში, ეკრანზე ჩნდება მონაწილეთა სახელები ე.წ username

რესურსით მოსწავლეების მხრიდან დიდმა დაინტერესებამ სურვილი კიდევ უფრო გამიღრმავა მოვიძიო, დავგეგმო და სხვა ინოვაციური რესურსები, როგორც ელექტრონული, ასევე ციფრული , რომელთაც სიამოვნებით გავუზირებ კოლეგებს.